საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მჟაველა

მჟაველა. ჩვეულებრივი მჟაველა.

მჟაველა (Oxalis), მცენარეთა გვარი მჟაველასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახი, ზოგჯერ ბუჩქბალახია. აქვს სამყურა ან თათისებრი რთული ფოთოლი, კოლოფისებრი ნაყოფი. 500-ზე მეტი სახეობა უმეტესად გავრცელებულია სამხრ. აფრიკაში, სამხრ. ამერიკასა და მექსიკაში. საქართველოში გვხვდება 5 სახეობა. ტენიან წიწვოვან ტყეებში ხარობს ჩვეულებრივი **მ**. (O. acetosella), რ-იც 5–12 სმ სიმაღლის პატარა უღერო ბალახია. ღამით და მოღრუბლულ ამინდში მისი ფოთლის ფოთოლაკები იკეცება. ფოთოლი შეიცავს C ვიტამინსა და მჟაუნმჟავას. ზოგიერთი აფრიკული და ამერიკული სახეობა საჭმელი ბოლქვების გამო კულტივირებულია ევროპაში, მრავალი მათგანი დეკორატიულია.